სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

თორნიკე შერმადინი

17 დეკემბერი

„--------"----------" 2012 წელი

ეგზ 2

შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია"

შესაბამისობის აუდიტი N 23/00

01.01.2007 – 01.01.2010

შინაარსი

ნაწილი I - შესავალი..... 3

ნაწილი II - აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები..... 3

ნაწილი III - ძირითადი ნაწილი..... 4

1. საწარმოს შექმნის სამართლებრივი საფუძვლები და საქმიანობა..... 4

2. შემოსავლების მიღებისა და ხარჯების გაწევის მდგომარეობა..... 5

3. ქონების მიღების, აღრიცხვისა და გამოყენების მდგომარეობა..... 13

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები..... 20

ნაწილი I - შესავალი

აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 26 ნოემბრის № 99/43 ბრძანება.

აუდიტის ფორმა (სახე) - შესაბამისობის გასვლითი აუდიტი.

აუდიტის ჯგუფის შემადგენლობა - საქართველოს კონტროლის პალატის (ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი) უფროსი აუდიტორები კორნელი გაბლიშვილი, ანა ალავერდაშვილი, აუდიტორები ბორის მჭედლიშვილი, გიორგი კეკელიშვილი.

აუდიტის პერიოდი - 2007 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის" იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი - 0190, კახეთის გზატკეცილი №21, ტელ: 24 40 40, ფაქსი: 24 40 41.

აუდიტი დაიწყო 2010 წლის 30 ნოემბერს და დამთავრდა 2011 წლის 28 იანვარს.

შემოკლებანი:

1. შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია" - კომპანია;
2. შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" - კორპორაცია;
3. საქართველოს კანონი - კანონი;
4. საქართველოს მთავრობა - მთავრობა;
5. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო - ეკონომიკის სამინისტრო.
6. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო - ენერგეტიკის სამინისტრო;
7. სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტო" - სააგენტო;
8. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია - სემეკი
9. გაზგამანაწილებელი სადგური - გგს
10. ათასი ლარი - ათ. ლარი.
11. ათასი კუბური მეტრი - ათ. კუბ. მეტრი

ნაწილი II - აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. ხშირ შემთხვევებში მომწოდებლებისათვის თანხები ავანსად გადარიცხულია საბანკო გარანტიის მოთხოვნის გარეშე, რის შედეგადაც იზრდებოდა მომწოდებელთა მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა არასათანადოდ შესრულების შედეგად ზარალის მიღების რისკები. მაგალითად, საბანკო გარანტიის მოთხოვნის გარეშე, თანხები ავანსად გადაერიცხათ: სს "თბილისს" 2007 წლის 29 ივნისს - 102,8 ათ. ლარი, 13 აგვისტოს - 157,6 ათ. ლარი, შპს "რობიკონს" 2007 წლის 4 ივლისს - 60,2 ათ. აშშ დოლარი, 9 აგვისტოს - 67,4 ათ. აშშ დოლარი, შპს "ჯი თი ეს ლადა ვაზს" - 2007 წლის 26 ივლისს - 99,4 ათ. და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონტრაქტორთა მიერ აღებული ვალდებულებები შესრულდა

ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ვადებში და კომპანიას საბანკო გარანტიის მოთხოვნის გარეშე თანხების ავანსად გადარიცხვის შედეგად ზარალი არ მიუღია.

2. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში კომპანიას აუდიტორულ მომსახურებას უწევდნენ შპს "აუდიტი და ფინანსური კონსალტინგი" და შპს "ქართული აუდიტორული კომპანია", რომლებთანაც გაფორმებული ხელშეკრულებების (საერთო ღირებულებით - 270,0 ათ. ლარი) საგანს, გარდა შესაბამისი წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა, შეადგენდა საკონსულტაციო მომსახურება საგადასახადო, საბაჟო, სამეწარმეო, შრომის და სხვა კანონმდებლობის ფარგლებში. ხელშეკრულებების მოქმედების პერიოდში, საბაჟო ორგანოების მიერ, კომპანიაზე ჯარიმა-საურავების სახით დარიცხულია 34,9 ათ. ლარი, საიდანაც 28,4 ათ. ლარი კომპანიას დაერიცხა დეკლარაციების დაგვიანებით წარდგენისათვის. კომპანიის გენერალური დირექტორის განმარტებით, დეკლარაციების დაგვიანებით წარდგენა გამოწვეული იყო საბაჟო ორგანოებში წარმოქმნილი ტექნიკური პრობლემებით.

3. დიდი ოდენობით ხარჯებია გაწეული 2007-2009 წლებში ისეთი ავტომანქანების მოვლა-შენახვაზე, როგორიცაა: მიცუბიში პაჯერო (გამოშვების წელი 1992) - 21,8 ათ. ლარი, მერსედეს ბენც მ-კლასი (გამოშვების წელი 2002) - 26,3 ათ. ლარი, ვოლვო ს-90 (გამოშვების წელი 1997) - 19,5 ათ. ლარი და სხვა. თუ ზემოდნახსენები ავტომანქანების მოვლა-პატრონობაზე გაწეულ დანახარჯებს მათ მიერ გავლილ მანძილებს შევადარებთ, მივიღებთ, რომ ყოველ გავლილ 100 კმ-ზე, საწვავის ხარჯის გარდა, გაწეულია: 2008 წელს მ-კლასის მერსედეს ბენცზე - 62 ლარის, 2008 წელს მიცუბიში პაჯეროზე - 46,5 ლარის, 2007 წელს ვოლვო ს-90-ზე- 33,5 ლარის ხარჯი და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის მიერ ავტოტექმომსახურების შესყიდვაზე გაფორმებულ რიგ ხელშეკრულებებს (შპს „ანდატე", შპს „რიო", შპს „უშბა") თან არ ახლდა მხარეებს შორის შეთანხმებული პრეისკურანტები (ფასების ნუსხა), რაც ზრდიდა არახელსაყრელი ვარიანტის შერჩევის რისკს.

ნაწილი III - ძირითადი ნაწილი

1. საწარმოს შექმნის სამართლებრივი საფუძვლები და საქმიანობა

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია" წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნებულია სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" აქციონერთა კრების 1999 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალში „გაზის საერთაშორისო კორპორაციის" ფულადმა შენატანმა შეადგინა 2000 ლარი (100%). კომპანია სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია 1999 წლის 30 დეკემბერს ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს N7/4-1350 დადგენილებით. მისივე 2001 წლის 24 ოქტომბრის დადგენილებით კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 66 000 ლარით. შემდგომ პერიოდში კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებები აღარ განხორციელებულა.

2006 წლის 24 ოქტომბერს „გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან“ შერწყმის შედეგად, ეს უკანასკნელი გახდა კომპანიის პარტნიორი.

წესდების თანახმად კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება და ტრანზიტის უზრუნველყოფა, რისთვისაც იგი ახორციელებს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემის მართვასა და მოვლა-პატრონობას, რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციისა და სარემონტო სამუშაოების დაგეგმვასა და მათი დროული და ხარისხიანი შესრულების უზრუნველყოფას, გაზის რეჟიმების რეგულირებას, გაზის დანაკარგების მიზეზების დადგენასა და მათი თავიდან აცილებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას და სხვა.

კომპანიის მართვას ახორციელებენ: პარტნიორთა კრება და გენერალური დირექტორი. კომპანიის სტრუქტურა შედგება სამშენებლო ზედამხედველობის, საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის, კომერციული და ფინანსური დეპარტამენტებისაგან, გენერალური დირექტორის აპარატისაგან, იურიდიული სამსახურის, სადისპეტჩეროსა და გენერალური ინსპექციისაგან.

კომპანია მაგისტრალური გაზსადენების და მისი ინფრასტრუქტურის მართვა-ოპერირებას და მომსახურებას ახორციელებს საგურამოს, ქვეშეთის და თერჯოლის სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალების მეშვეობით. ფილიალები მოქმედებენ 2000 წლიდან, არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს და არ გააჩნიათ საკუთარი ბალანსი. სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალები თავიანთ სამოქმედო ზონაში უზრუნველყოფენ მაგისტრალური გაზსადენების გამართულ ფუნქციონირებას, უსაფრთხო ექსპლუატაციას, მომხმარებლებზე საჭირო ოდენობის და კონდიციის ბუნებრივი აირის შეუფერხებელ მიწოდებას და მის სწორ აღრიცხვას, მაგისტრალურ გაზსადენებზე გაჟონვისა და ავარიული სიტუაციის ფიქსირებას.

კომპანიაზე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების მოქმედი ლიცენზია (სერია22, N004) გაცემულია სემეკის 2004 წლის 9 ივნისის N10/2 გადაწყვეტილებით. მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 2004 წლის 20 სექტემბრამდე ვადით. 2004 წლის 30 სექტემბერს შეტანილი ცვლილებით ლიცენზიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2004 წლის 25 დეკემბრით, ხოლო 2004 წლის 24 დეკემბრის ცვლილებით მისი მოქმედების ვადა გაგრძელდა 2010 წლის 1 იანვრამდე. სემეკის 2009 წლის 10 დეკემბრის N21/1 გადაწყვეტილებით აღნიშნული ლიცენზია გახდა უვადო.

2. შემოსავლების მიღებისა და ხარჯების გაწევის მდგომარეობა

<u>შემოსავლები</u>

<u>შემოსავლები გაზის ტრანსპორტირებიდან და მიწოდებიდან.</u> კომპანია საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებას და რუსეთის ფედერაციიდან სომხეთის რესპუბლიკაში გაზის ტრანსპორტირების საფასურის სახით დატოვებული გაზის

რეალიზაციას აწარმოებს როგორც წინა პერიოდებში, ასევე მიმდინარე პერიოდში გაფორმებული და პროლონგირებული ხელშეკრულებების საფუძველზე. რუსეთ-საქართველოს საზღვრიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებაზე მომსახურების ღირებულება შპს "გაზექსპორტთან" 2003 წლის 30 მაისს გაფორმებული №2107-12/03-05 ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს 10%-ს ფაქტიურად გატარებული გაზის მოცულობიდან. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების ტარიფები რეგულირდებოდა სემეკის 2005 წლის 30 დეკემბრის დადგენილებით, რომლის თანახმადაც ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფი შეადგენდა: თბოელექტროსადგურებისათვის და სს "ყაზბეგიგაზისათვის" - 9,0 ლარს, სს "დუშეთიგაზისათვის - 11,67 ლარს, დანარჩენი მომხმარებლებისათვის - 13,83 ლარს (აქაც და შემდგომშიც ბუნებრივი აირის როგორც ტრანსპორტირების, ისე რეალიზაციის ღირებულებაში იგულისხმება 1000 კუბ. მეტრი ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების (რეალიზაციის) ღირებულება დღგ-ს გარეშე).

კორპორაციისათვის მისაყიდი გაზის ფასი აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში რეგულირდებოდა სემეკის დადგენილებებითა და მთავრობის განკარგულებებით (201,42 ლარი - 2007 წელს, 110 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - 2008 და 2009 წლებში). რაც შეეხება სხვა მომხმარებლებზე რეალიზაციას, 2007 წელს მათთვის გაზი კომპანიის მიერ მიყიდულია სემეკის მიერ დადგენილი ტარიფით (201,42 ლარი), 2008 წელს - საბაზრო ფასებით, ხოლო 2009 წელს გაზი მთლიანად მიეყიდა კორპორაციას და სხვა მომხმარებლებზე კომპანიის მიერ რეალიზებული არ ყოფილა.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში ტრანზიტის საფასურად დატოვებულია: 2007 წელს - 214,2 მლნ. კუბ. მეტრი (კუთვნილზე 8,8 მლნ. კუბ. მეტრით მეტი), 2008 წელს - 208,3 მლნ. კუბ. მეტრი (კუთვნილზე 17,1 მლნ. კუბ. მეტრით ნაკლები), ხოლო 2009 წელს - 142,4 მლნ. კუბ. მეტრი (კუთვნილზე 26,7 მლნ. კუბ. მეტრით ნაკლები) ბუნებრივი აირი. სულ, 2007-2009 წლებში კომპანიას ტრანზიტის საფასურის სახით ეკუთვნოდა 599,8 მლნ. კუბ. მეტრი გაზი, ფაქტობრივად მიღებული აქვს 564,9 მლნ. კუბ. მეტრი ანუ კუთვნილზე 34,9 მლნ. კუბ. მეტრით ნაკლები.

2008 წლის ნოემბერ - დეკემბერში კომპანიამ შპს "გაზპრომექსპორტისაგან" (ხელშეკრულება №2107-12/03-05, 30.05.2003, დამატება №13, 5.11.2008. აღნიშნული კომპანია ახორციელებს ბუნებრივი აირის რუსეთიდან სომხეთში მიწოდებას) ე.წ. ტექნიკური საჭიროებისათვის 270 აშშ დოლარად შეისყიდა 25,6 მლნ. კუბ. მეტრი გაზი, რომლის სხვადასხვა მომხმარებელზე 280 აშშ დოლარად რეალიზაციის შედეგად კომპანიამ ფასთა სხვაობის სახით მიიღო 255,9 ათ. აშშ დოლარის შემოსავალი.

კომპანიის გენერალური დირექტორის განმარტებით, "გაზპრომექსპორტთან" გაფორმებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას ტექნიკური რეჟიმის შენარჩუნების მიზნით შეეძლო შეეძინა 25,6 მლნ. კუბ. მეტრი გაზი, რომლის მიღება უნდა განხორციელებულიყო არაუგვიანეს 2008 წლის 31 დეკემბრისა. კომპანიამ გამოიყენა ეს შესაძლებლობა მოგების მიღების მიზნით. რაც შეეხება ტრანზიტის საფასურად დარჩენილი გაზის ათვისებას, იგი არ არის დროში შეზღუდული. კომპანია ყოველთვის ცდილობს წლის

ბოლოს ჰქონდეს რამოდენიმე დღის მარაგი მკაცრი ზამთრის პირობებში გართულების თავიდან აცილების მიზნით.

შემოსავლები სამშენებლო სამუშაოებიდან. კომპანია სამშენებლო, სარეაბილიტაციო და სხვა სამუშაოებს ძირითადად აწარმოებს კორპორაციის დაკვეთით. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში აღნიშნული სამუშაოებიდან სულ მიღებულია 10291,9 ათ. ლარის შემოსავალი, აქედან კორპორაციის დაკვეთით კომპანიას შესრულებული აქვს 9111,4 ათ. ლარის ღირებულების სამშენებლო, სარეაბილიტაციო და სხვა სამუშაოები, საიდანაც საკუთარი ძალებით შესრულებულია 4656,8 ათ. ლარის, ხოლო ქვეკონტრაქტორების მეშვეობით - 4454,6 ათ. ლარის სამუშაოები.

ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებულია მდ. მტკვრის საჰაერო გადასასვლელის დ=500 მმ მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაციის სამუშაოები ღირებულებით 2565,1 ათ. ლარი (შემსრულებელი სს "საქჰიდროენერგომშენი"), წითელი ხიდი - წალკა - ალასტანის დ=300 მმ გაზსადენის რეაბილიტაციის სამუშაოები ღირებულებით 1199,2 ათ. ლარი (შემსრულებელი შპს "ნიუ ენერჯი"), ვლადიკავკაზ - თბილისის დ=700 მმ გაზსადენის 66-ე კმ-ზე კაპიტალური შეკეთების სამუშაოები ღირებულებით 197,6 ათ. ლარი (შემსრულებელი შპს "დიდგორი"), მდ. სუფსაზე საჰაერო გადასასვლელის რეაბილიტაციის სამუშაოები ღირებულებით 460,9 ათ. ლარი (შემსრულებელი სს "ჰიდროენერგომონტაჟი") და სხვა.

საკუთარი ძალებით კომპანიას შესრულებული აქვს: გარდაბნის გგს-ის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 1488,7 ათ. ლარი, კოთელია - ასპინძის მაგისტრალური გაზსადენის 2 კმ-იანი წყვეტებისა და 2 გამანაწილებელი სადგურის მშენებლობა - 342,4 ათ. ლარი, სარეაბილიტაციო სამუშაოები ვლადიკავკაზ - თბილისის დ=700 მმ გაზსადენზე - 108,9 ათ. ლარი, წითელი ხიდი - წალკა - ახალქალაქის მაგისტრალური გაზსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 609,7 ათ. ლარი, წითელი ხიდის გამზომი კვანძის სარემონტო სამუშაოები - 122,5 ათ. ლარი, ქუთაისი - სოხუმის მაგისტრალური გაზსადენზე ავარიული უბნის რეაბილიტაციის სამუშაოები - 297,7 ათ. ლარი და სხვა.

შემოსავლები გგს-ბის მომსახურებიდან. რიგ შემთხვევებში გაზის გამანაწილებელი სადგურები იმყოფებიან მომხმარებელთა ბალანსზე. ასეთი სადგურების მომსახურებაზე მომხმარებლებს კომპანიასთან გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები. 2007 წელს კომპანია მოემსახურა 39 მომხმარებლის, 2008 წელს - 44 მომხმარებლის, ხოლო 2009 წლის განმავლობაში 48 მომხმარებლის გაზის გამანაწილებელ სადგურებს. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში გგს-ბის მომსახურებიდან სულ მიღებულია 678,5 ათ. ლარის შემოსავალი.

სხვა შემოსავლები. აქ ასახულია არასაოპერაციო შემოსავლები, რომლებიც მიღებულია: ანგარიშსწორების ანგარიშებზე თავისუფალ ნაშთზე სარგებლის (1101,5 ათ. ლარი) და ბუნებრივი გაზის მომხმარებლების დავალიანებებზე საურავების (403,7 ათ. ლარი) დარიცხვის შედეგად, აგრეთვე შემოსავლები საეჭვო ვალებიდან (1017,0 ათ. ლარი), საკურსო სხვაობებიდან (1298,1 ათ. ლარი) და სხვა.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში შემოსავლების გეგმიური და ფაქტობრივი მაჩვენებლები წლების მიხედვით ასე გამოიყურება:

#	შემოსავლების დასახელება	2007 წელი			2008 წელი			2009 წელი		
		ბიზნეს გეგმით	ფაქტობრივად	სხვაობა (+/-)	ბიზნეს გეგმით	ფაქტობრივად	სხვაობა (+/-)	ბიზნეს გეგმით	ფაქტობრივად	სხვაობა (+/-)
1	შემოსავლები გაზის ტრანსპორტირებიდან	21023,0	19599,6	-1,423,4	21413,0	18385,5	-3027,5	21517,0	27176,0	5659,0
2	შემოსავლები გაზის რეალიზაციიდან	32799,0	47368,5	14569.5	33087,0	48475,8	15388,.8	36300,0	26721,0	- 9579,0
3	შემოსავლები სამშენებლო და სხვა სამუშაოებიდან	0.0	6473,0	6473,0	0.0	1527,8	1527,8	5254,0	2291,1	- 2962,9
4	შემოსავლები გგს-ების მომსახურებიდან	202,0	195,6	- 6,4	208,0	229,5	21,5	240,0	253,0	13.0
5	სხვა შემოსავლები	1453,0	1461,9	8,9	1112,0	1732,1	620,1	909.0	1980,2	1071,2
6	სულ შემოსავლები	55477,0	75098,6	19621,6	55820,0	70350,7	14530,7	64220,0	58421,3	-5798,7

როგორც ცხრილიდან ჩანს, აუდიტს დაქვემდებარებული პერიოდი აღინიშნა შემოსავლების კლების ტენდენციით, კერძოდ, შემოსავლების ფაქტობრივი მაჩვენებლები 2007 წლის 75,1 მლნ. ლარიდან 2009 წელს შემცირდა 58,4 მლნ. ლარამდე, რაც უპირველეს ყოვლისა ბუნებრივი აირის რეალიზაციის შემცირებით არის განპირობებული (2008 წლის 48,5 მლნ. ლარიდან 2009 წელს შემცირდა 26,7 მლნ. ლარამდე).

ხარჯები

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში კორპორაციის მიერ გაწეული ხარჯები

(ათ. ლარი)

ხარჯების ჩამონათვალი	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი
ექსპლუატაციის დანახარჯები	1002,7	1350,0	1091,7
რეალიზებული პროდუქციის თ/ღირებ.	7207,2	7726,9	1324,0
კომერციული ხარჯები	235,9	255,9	208,3

საწარმოო ქონების იჯარა	6889,1	19365,4	23170,5
ადმინისტრაციული ხარჯები	4765,6	5148,0	5066,0
ცვეთა და ამორტიზაცია	309,9	655,0	1019,2
საგადასახადო ხარჯები	18,7	33,1	53,1
სხვა ხარჯები	3044,9	721,3	1473,6
სულ ხარჯები	**23474,0**	**35255,6**	**33406,4**

"სხვა ხარჯებში" აისახა რესტრუქტურიზებული დავალიანების პროცენტი (1411,1 ათ. ლარი), ჯარიმები და საურავები (3565,7 ათ. ლარი), საეჭვო ვალების ანარიცხები (541,0 ათ. ლარი), საკურსო სხვაობა (207,0 ათ. ლარი), უსასყიდლოდ სამუშაოების შესრულება და ქონების გადაცემა (598,3 ათ. ლარი) და სხვა.

კომპანიის პერსონალის საშუალო რიცხოვნობა შეადგენდა: 2007 წელს - 595, 2008 წელს - 605, 2009 წელს - 587 ერთეულს, ხოლო საშუალო ხელფასი: 2007 წელს - 427, 2008 წელს - 552, 2009 წელს - 575 ლარს, აქედან ხელმძღვანელი მუშაკების საშუალო ხელფასი - შესაბამისად 2160, 2838 და 3210 ლარს. 2008 წელს 2007 წელთან შედარებით შტატიანი თანამშრომლების ხელფასები გაიზარდა 28,5%-ით (მათ შორის ხელმძღვანელი მუშაკების - 66,2%-ით). ასევე გაიზარდა პრემიების სახით გაცემული თანხების ოდენობაც - 32,0%-ით (მათ შორის ხელმძღვანელ მუშაკებზე - 125,8%-ით). აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში პრემიის სახით სულ დარიცხულია 1293,5 ათ. ლარი, მათ შორის შტატიან თანამშრომლებზე - 1228,0 ათ. ლარი (აქედან ხელმძღვანელ მუშაკებზე - 325,6 ათ. ლარი), ხოლო ხელშეკრულებით მომუშავეებზე - 65,5 ათ. ლარი. შტატიან თანამშრომლებზე გაცემულმა პრემიამ მათზე დარიცხული ხელფასის 12,7% შეადგინა (აქედან ხელმძღვანელ მუშაკებზე - 22,7%), ხოლო ხელშეკრულებით მომუშავეებზე - 4,3%.

კომპანიის მიერ აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში გაწეული ადმინისტრაციული ხარჯები შემდეგნაირად გამოიყურება:

(ათ.ლარი)

ხარჯების ჩამონათვალი	**2007**	**2008**	**2009**
შრომის ანაზღაურების ხარჯები	3468,4	4627,8	4552,2
სოციალური გადასახადი	693,7		
ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯები	36,5	67,7	50,3
ოფისის ხარჯები	62,9	38,3	45,9
კავშირგაბმულობის მომსახურების ხარჯები	92,3	90,4	68,9

კომუნალური მომსახურების ხარჯები	34,3	47,7	45,5
წარმომადგენლობითი ხარჯები	5,5	14,3	7,8
საკონს. იურიდ. და აუდიტ. მომსახურების ხარჯები	79,1	66,9	66,2
მივლინების ხარჯები	45,3	40,8	21,8
დაზღვევის ხარჯები	31,5	32,3	31,6
საოფისე ფართის იჯარა	50,2	83,8	141,7
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	165,9	38,0	34,1
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	**4765,6**	**5148,0**	**5066,0**

"სხვა ადმინისტრაციულ ხარჯებში" აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში ასახულია: საბანკო გარანტიის და საბანკო მომსახურების (162,0 ათ. ლარი), დაცვის მომსახურების (19,1 ათ. ლარი), რეკლამის (11,5 ათ. ლარი), კადრების მომზადების (12,2 ათ. ლარი) და სხვა ხარჯები.

<u>ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაცია.</u> აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციაზე გახარჯულია 779,6 ათ. ლარის ღირებულების 589,8 ათ. ლიტრი დიზელის საწვავი, 605,9 ათ. ლარის ღირებულების 472,7 ათ. ლიტრი ბენზინი და 51,9 ათ. ლარის ღირებულების 70,3 ათ. კუბ. მეტრი დაწნეხილი გაზი, ხოლო მოვლა- პატრონობაზე გაწეულია 806,8 ათ. ლარის ხარჯი. დიდი ოდენობით მოვლა-შენახვის ხარჯებია გაწეული 2007-2009 წლებში ისეთ ავტომანქანებზე, როგორიცაა: მიცუბიში პაჯერო (გამოშვების წელი 1992) - 21,8 ათ. ლარი, მერსედეს ბენც მ-კლასი (გამოშვების წელი 2002) - 26,3 ათ. ლარი, ვოლვო ს-90 (გამოშვების წელი 1997) - 19,5 ათ. ლარი და სხვა.

მოდელი	გამ. წელი	2007 წლის ხარჯი	2008 წლის ხარჯი	2009 წლის ხარჯი	სულ ხარჯი
მერსედესი ML	2002	8,177.14	6,682.64	11,488.16	26,347.94
მიცუბიში პაჯერო	1992	4,039.22	10,988.08	6,778.61	21,805.91
ტოიოტა "პრადო"	2007	2,586.76	6,919.26	10,234.93	19,740.95
ვოლვო S90	1983	8,760.13	5,926.97	4,794.07	19,481.17
ფორდ რეინჯერი	2006	1,457.78	5,444.67	10,772.08	17,674.53
ფორდ რეინჯერი	2006	2,313.90	6,916.04	8,411.19	17,641.13
ტოიოტა "პრადო"	2007	3,364.30	5,747.82	8,059.85	17,171.97
ვაზ 21214	2005	2,671.27	6,823.79	6,986.29	16,481.35
ფორდ რეინჯერი	2006	2,453.00	2,693.29	9,343.41	14,489.70
ვაზ 21213	2003	4,736.54	6,003.41	2,409.98	13,149.93

თუ ზემოდნახსენები ავტომანქანების მოვლა-პატრონობაზე გაწეულ დანახარჯებს მათ მიერ გავლილ მანძილებს შევადარებთ, მივიღებთ, რომ ყოველ გავლილ 100 კმ-ზე, საწვავის ხარჯის გარდა, გაწეულია: 2008 წელს მ-კლასის მერსედეს ბენცზე - 62 ლარის, 2008 წელს მიცუბიში პაჯეროზე - 46,5 ლარის, 2007 წელს ვოლვო ს-90-ზე- 33,5 ლარის ხარჯი და სხვა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის მიერ ავტოტექმომსახურების შესყიდვაზე გაფორმებულ რიგ ხელშეკრულებებს (შპს „ანდატე", შპს „რიო", შპს „უშბა") თან არ ახლდა მხარეებს შორის შეთანხმებული პრეისკურანტები (ფასების ნუსხა), რაც ზრდიდა არახელსაყრელი ვარიანტი შერჩევის რისკს.

<u>ავანსად გადარიცხვები საბანკო გარანტიის გარეშე.</u> ხშირ შემთხვევებში მომწოდებლებისათვის თანხები ავანსად გადარიცხულია საბანკო გარანტიის მოთხოვნის გარეშე, რის შედეგადაც იზრდებოდა მომწოდებელთა მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში ზარალის მიღების რისკები. მაგალითად, საბანკო გარანტიის მოთხოვნის გარეშე, თანხები ავანსად გადაერიცხათ: სს "თბილისს" 2007 წლის 29 ივნისს - 102,8 ათ. ლარი, 13 აგვისტოს - 157,6 ათ. ლარი, შპს "რობიკონს" 2007 წლის 4 ივლისს - 60,2 ათ. აშშ დოლარი, 9 აგვისტოს - 67,4 ათ. აშშ დოლარი, შპს "ჯი თი ეს ლადა ვაზს" - 2007 წლის 26 ივლისს - 99,4 ათ. ლარი, შპს "ემ თი ემ გრუპს" 2007 წლის 6 აგვისტოს - 34,8 ათ. ლარი, სს "საქჰიდროენერგომშენს" 2007 წლის 30 ივლისს - 32,0 ათ. ლარი, "შევრონ ფილიპს ხემიკელს" 2009 წლის 25 თებერვალს - 30,6 ათ. ევრო და სხვა.

<u>მოგების განაწილება</u>

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში სულ მიღებული 94827,6 ათ. ლარის წმინდა მოგებიდან, 56297,1 ათ. ლარით გადაიფარა წინა წლებში მიღებული ზარალი, 33500,0 ათ. ლარი მიიღო კორპორაციამ დივიდენდის სახით, ხოლო 5030,5 ათ. ლარი დატოვებული იქნა საწარმოს განკარგულებაში.

<u>დებიტორ - კრედიტორები</u>

მოთხოვნებმა მიწოდებიდან და მომსახურებიდან შეადგინა: 1.01.2007 - 40243,1 ათ. ლარი, 1.01.2008 - 56478,7 ათ. ლარი, 1.01.2009 – 65908,9 ათ. ლარი, ხოლო 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 46638,6 ათ. ლარი, აქედან გაზის ტრანსპორტირებაზე მოდიოდა 36308,3 ათ. ლარი, გაზის მიწოდებაზე - 5981,0 ათ. ლარი. 2010 წლის 1 იანვრისათვის კომპანიის ყველაზე დიდი დებიტორები იყვნენ: შპს "გაზპრომ ექსპორტი" - 16453,7 ათ. ლარი, შპს "სოკარ ჯორჯია გაზი" - 2105,7 ათ. ლარი, "ქართლი გაზი" - 4065,3 ათ. ლარი, სს "თბილგაზი" - 11917,2 ათ. ლარი, სს "თბილსრესი" - 4113,6 ათ. ლარი. ამ ორ უკანასკნელზე აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში მიმდინარეობდა გაკოტრების საქმის წარმოება.

2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები შეადგენდა 33732,6 ათ. ლარს. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი ყოველწლიურად მცირდებოდა და 2010 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 3579,4 ათ. ლარი, აქედან 2221,4 ათ. ლარი ირიცხებოდა რეგიონალური საბაჟო "აღმოსავლეთზე" (2009 წლის დეკემბერში მიღებული და

განსაბაჟებელი გაზის დღგ-ს დავალიანება), 1234,9 ათ. ლარი - "საქტრანსგაზმრეწვზე" (მომდინარეობს 2006 წლიდან) და სხვა.

ურთიერთმოთხოვნათა გამოქვითვა. მოთხოვნებითა და ვალდებულებებით ანგარიშსწორების მიზნით კომპანიას არაფულადი ოპერაციების სახით განხორციელებული აქვს ჩათვლითი ოპერაციები, კერძოდ: 2009 წლის 9 ნოემბრის მდგომარეობით შპს "ნიუ ენერჯის" კომპანიის წინაშე ერიცხებოდა 73,0 ათ. ლარის დავალიანება (ხელშეკრულებები მოძრავი ტექნიკის ქირავნობისა და მაგისტრალურ გაზსადენზე მიერთების შესახებ), თავის მხრივ ამავე პერიოდისათვის კომპანიას "ნიუ ენერჯის" წინაშე ერიცხებოდა 167,7 ათ. ლარის დავალიანება (ხელშეკრულებები ნასყიდობის შესახებ). 2009 წლის 9 ნოემბრის შეთანხმებით მხარეთა შორის განხორციელდა ურთიერთმოთხოვნათა გამოქვითვა და "ნიუ ენერჯის" კომპანიის წინაშე 73,0 ათ. ლარის დავალიანება ჩაეთვალა გადახდილად, ხოლო კომპანიის დავალიანება "ნიუ ენერჯის" წინაშე განისაზღვრა 94,7 ათ. ლარით. თავის მხრივ, "ნიუ ენერჯის" კორპორაციის წინაშე, ხოლო ამ უკანასკნელის კომპანიის წინაშე არსებული დავალიანებებიდან გამომდინარე, 2009 წლის 9 ნოემბრის №სხ-091109-02 შეთანხმებით, კომპანიას გადახდილად ჩაეთვალა "ნიუ ენერჯის" მიმართ დარჩენილი ზემოხსენებული 94,7 ათ. ლარის დავალიანება, ამავე თანხით "ნიუ ენერჯის" შეუმცირდა კორპორაციის წინაშე, ხოლო კორპორაციას კომპანიის მიმართ დავალიანება. აღნიშნული შეთანხმების შედეგად კორპორაციის წინაშე დავალიანების სახით დარჩენილი 15,7 ათ. ლარი "ნიუ ენერჯიმ" შეცდომით გადაურიცხა კომპანიას. აღნიშნული თანხა 2009 წლის 16 ნოემბრის №სხ-161109-10 შეთანხმებით ჩაითვალა კორპორაციის მიერ ბუნებრივი აირის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიის მიმართ წარმოშობილი დავალიანების გადახდად.

დავალიანებათა რესტრუქტურიზაცია. კომპანიას 2007 წლის 1 მაისის მდგომარეობით ერიცხებოდა 47630,1 ათ. ლარის საგადასახადო დავალიანება (მათ შორის 35432,7 ათ. ლარის საბაჟო დავალიანება). მთავრობის 2007 წლის 7 ივნისის №283 განკარგულებით და კომპანიასა და ფინანსთა სამინისტროს შორის 2007 წლის 18 მაისს გაფორმებული ხელშეკრულებით დავალიანება გაიყინა 26 თვით, 2009 წლის 1 ივლისამდე, ხოლო დაფარვის პერიოდი განისაზღვრა 120 თვით, 2009 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 1 ივლისამდე. დაფარვის გრაფიკის შესაბამისად, 2009 წლის III და IV კვარტალში დაფარულია სულ 3781,4 ათ. ლარი (აქედან 2370,3 ათ.ლარი - ძირითადი თანხა, ხოლო 1411,1 ათ. ლარი - დარიცხული პროცენტი). გარდა ზემოთაღნიშნულისა, კომპანიას აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიერ დაერიცხა 5596,1 ათ. ლარის ჯარიმა-საურავები, რომლებიც სრულად არის გადახდილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში კომპანიას აუდიტორულ მომსახურებას უწევდნენ შპს "აუდიტი და ფინანსური კონსალტინგი" (ხელშეკრულებების ღირებულება - 150,0 ათ. ლარი) და შპს "ქართული აუდიტორული კომპანია" (ხელშეკრულებების ღირებულება - 120,0 ათ. ლარი), რომელთა ვალდებულებების საგანს, გარდა შესაბამისი წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა, შეადგენდა საკონსულტაციო მომსახურება საგადასახადო, საბაჟო, სამეწარმეო, შრომის და სხვა კანონმდებლობის ფარგლებში. კომპანიის გენერალური დირექტორის განმარტებით, აუდიტორული კომპანიის მოწვევის ფაქტს წინ უსწრებდა ფინანსური პოლიციისა და საბაჟო

ორგანოების მიერ კომპანიაზე საურავებისა და ჯარიმების დარიცხვა 28,5 მლნ. ლარის ოდენობით, რამაც კომპანია სერიოზული ფინანსური კრიზისის წინაშე დააყენა და იძულებული გახადა გაეფორმებინა დამატებითი ხელშეკრულება საბაჟო დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიის მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება დაეთხოვა კომპანიაში ფინანსურ საკითხებზე მომუშავე 9 თანამშრომელი და მოეწვია აუდიტორული კომპანია, რომელიც როგორც ფინანსურ, ისე საგადასახადო აუდიტს განახორციელებდა ოპერატიულად, ყოველი საანგარიშო კვარტლის დამთავრებისთანავე და მზად იქნებოდა დაკისრებოდა ფინანსური პასუხისმგებლობა აუდირებულ პერიოდში კომპანიის წინაშე დამდგარი ფინანსური ზიანისათვის. ხსენებული ხელშეკრულებების მოქმედების პერიოდში, საბაჟო ორგანოების მიერ (რეგიონალური საბაჟო "აღმოსავლეთი") ჯარიმა-საურავების სახით კომპანიისათვის დარიცხულია 34,9 ათ. ლარი, საიდანაც 28,4 ათ. ლარი კომპანიას დაერიცხა დეკლარაციების დაგვიანებით წარდგენისათვის, რომელიც, კომპანიის გენერალური დირექტორის განმარტებით, გამოწვეული იყო საბაჟო ორგანოებში წარმოქმნილი ტექნიკური პრობლემებით.

3. ქონების მიღების, აღრიცხვისა და გამოყენების მდგომარეობა

ძირითადი საშუალებები

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ძირითადი საშუალებების მოძრაობა ათ. ლარებში 2007 - 2009 წლებისათვის:

ძირითადი საშუალებების დასახელება	ნაშთი 2007 წლის 1 იანვრის	**2007 წლის** განმავლობაში ზრდა	**2007 წლის** განმავლობაში შემცირება	ნაშთი **2007** წლის **31** დეკემბრის
მიწის ნაკვეთები	-	0.6	-	0.6
დაუმთავრებელი მშენებლობა	210.4	7,055.9	7,150.2	116.2
შენობა ნაგებობები	37.4	25.4	-	62.7
კავშირგაბმულობა მილსადენები	51.5	106.4	-	157.9
მანქანა დანადგარები	405.4	454.1	1.1	858.3
ოფისის აღჭურვილობა	94.6	48.7	-	143.2
ავეჯი	48.5	7.2	1.6	54.1
ავტომობილები	755.3	427.5	14.2	1,168.7
კაპიტალური დანახარჯი იჯარით აღებულ ქონებაზე	-	652.0	-	652.0
სხვა ძირითადი საშუალებები	1.5	-	-	1.5
სულ	**1,604.5**	**8,777.8**	**7,167.1**	**3,215.2**

ძირითადი საშუალებების დასახელება	ნაშთი 2008 წლის 1 იანვრის	2008 წლის განმავლობაში ზრდა	2008 წლის განმავლობაში შემცირება	ნაშთი 2008 წლის 31 დეკემბრის
მიწის ნაკვეთები	0.6	2.9	-	3.5
დაუმთავრებელი მშენებლობა	116.2	933.8	933.8	116.2
შენობა ნაგებობები	62.7	-	-	62.7
კავშირგაბმულობა მილსადენები	157.9	16.8	-	174.8
მანქანა დანადგარები	858.3	532.6	0.4	1,390.6
ოფისის აღჭურვილობა	143.2	64.5	4.3	203.5
ავეჯი	54.1	4.8	1.6	57.4
ავტომობილები	1,168.7	1,697.7	147.4	2,718.9
კაპიტალური დანახარჯი იჯარით აღებულ ქონებაზე	652.0	52.4	-	704.4
სხვა ძირითადი საშუალებები	1.5	1.5	2.0	1.0
სულ	**3,215.2**	**3,307.1**	**1,089.5**	**5,432.9**

ძირითადი საშუალებების დასახელება	ნაშთი 2009 წლის 1 იანვრის	2009 წლის განმავლობაში ზრდა	2009 წლის განმავლობაში შემცირება	ნაშთი 2009 წლის 31 დეკემბრის
მიწის ნაკვეთები	3.5	-	-	3.5
დაუმთავრებელი მშენებლობა	116.2	-	-	116.2
შენობა ნაგებობები	62.7	-	-	62.7
კავშირგაბმულობა მილსადენები	174.8	22.1	-	196.9
მანქანა დანადგარები	1,390.6	513.7	-	1,904.3
ოფისის აღჭურვილობა	203.5	71.0	12.6	261.9
ავეჯი	57.4	0.4	-	57.8
ავტომობილები	2,718.9	885.7	31.8	3,572.9
კაპიტალური დანახარჯი იჯარით აღებულ ქონებაზე	704.4	-	-	704.4
სხვა ძირითადი საშუალებები	1.0	42.4	-	43.4
სულ	**5,432.9**	**1,535.4**	**44.4**	**6,923.9**

"დაუმთავრებელი მშენებლობის" ანგარიშზე არსებული 116,2 ათ. ლარის ნაშთი წარმოადგენს მდინარე ყვირილაზე საჰაერო გადასასვლელის მშენებლობის თანხას, რომელიც 2010 წლის 31 აგვისტოს მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაეცა კორპორაციას. ნაგებობა შეაფასა სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ 153,3 ათას ლარად, ამავე თანხად იქნა მიყიდული კორპორაციაზეც.

„კაპიტალური დანახარჯი იჯარით აღებულ ქონებაზე" მოიცავს 2007 წელში ჯებირებისა და დამცავი კედლების მშენებლობას ჭივილაანთხევში, ხევშას ხევში, ტკიპას წყალზე, ჩრ. კავკასია - ამიერკავკასიისა და ვლადიკავკაზი - თბილისის განშტოებებზე, ხოლო 2008 წელს ადმინისტრაციული შენობის რემონტებსა და სატვირთო ავტომობილის რემონტზე (ძრავის შეცვლა) გაწეულ დანახარჯებს.

<u>ქონების იჯარით მიღება.</u> მაღალი წნევის მაგისტრალური გაზსადენი და მასთან არსებული ინფრასტრუქტურა, გაზის აღრიცხვის მოწყობილობები, მანქანა-მექანიზმები და შენობა - ნაგებობები კომპანიას იჯარით აქვს აღებული. საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასთან" 2006 წლის 1 აგვისტოს (№სხ-43-06). ხელშეკრულებით საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრა 560000 ლარით თვეში (აქ და შემდგომშიც საიჯარო ქირის ოდენობა მოცემული იქნება დღგ-ს გარეშე), ხოლო მოქმედების ვადა 2010 წლის 1 აგვისტომდე. იჯარით ქონების აღნიშნული გადაცემა "გაზის საერთაშორისო კორპორაციის" მიერ არ ყოფილა შეთანხმებული "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან" (რომელიც იმ დროისათვის ფლობდა "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" აქციების 100%-ს).

კომპანიასა და "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას" შორის 2008 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული შეთანხმებით 2008 წლის 1 იანვრიდან 14 ივლისის ჩათვლით იჯარის ყოველთვიური გადასახადი განისაზღვრა 1560000 ლარით, ხოლო 2008 წლის 15 ივლისიდან - 1574025 ლარით. აღნიშნულის გარდა, აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში, საიჯარო ქირის ოდენობა კიდევ 7-ჯერ შეიცვალა. ეს ცვლილებები დაკავშირებული იყო იჯარით ქონების დამატებით აღებასთან ან იჯარით მიღებული ქონების ნაწილობრივ დაბრუნებასთან. 2009 წლის ბოლო ცვლილებით იჯარის ყოველთვიური გადასახადი განისაზღვრა 1912880 ლარის ოდენობით.

გარდა აღნიშნულისა, "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" მიერ კომპანიისათვის მანქანა-მექანიზმები იჯარით გადაცემულია 2006 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულებითაც (3 ერთეული ექსკავატორი და ტრაქტორი). ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 9222 ლარით. გადაცემა არ არის შეთანხმებული "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან", რომელიც იმ დროისათვის ფლობდა "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" აქციების 100%-ს. 2006 წლის 24 ოქტომბერს კომპანიასა და "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას" შორის გაფორმებული №1 დამ-02-06 შეთანხმებით ხელშეკრულებაში შეტანილი იქნა ცვლილება და იჯარით აღებულ მანქანა-მექანიზმებს დაემატა 167,6 ათ. ევროდ შეფასებული ექსკავატორი, ხოლო იჯარის ქირა განისაზღვრა 14094 ლარით. აღნიშნული ექსკავატორის კორპორაციის მიერ იჯარით აუქციონის ან კონკურსის გარეშე გადაცემა ეწინააღმდეგება ეკონომიკური განვითარების

მინისტრის №1-1/209, 19.11.04 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს. ამავე მუხლის მოთხოვნების დარღვევით არის გადაცემული კომპანიაზე კორპორაციის ადმინისტრაციული შენობის მე-6 სართულის 881 კვ. მეტრ ფართობი, რომელიც მას იჯარით გადაეცა 2007 წლის 1 მარტს სს „საქართველოს ნავთობსადენების კომპანიასთან" (რომლის ბალანსზეც ირიცხებოდა იმ დროისათვის აღნიშნული შენობა) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულებით საიჯარო ქირა განისაზღვრა 516,8 ლარის ოდენობით, ხოლო მოქმედების ვადა - 2009 წლის 1 იანვრამდე. 2008 წლის 31 დეკემბრის №სხ-374-08 ხელშეკრულებით, აღნიშნული ფართი კომპანიაზე იჯარით გაიცა "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" მიერ (რადგან უკვე ის წარმოადგენდა ფართის მფლობელს). აღნიშნული ხელშეკრულებით და 2009 წლის 1 სექტემბრის შეთანხმებით საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრა 8810 ლარით, ხოლო მოქმედების ვადა - 2010 წლის 31 დეკემბრამდე. იჯარით გაცემულ ფართს არ გააჩნია შესაბამისი განმხოლოებული მრიცხველები. განმარტების თანახმად, საიჯარო ქირა მოიცავს კომუნალურ გადასახადებს, თუმცა ხელშეკრულებაში აღნიშნულის შესახებ მითითებული არ არის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კომპანიას ცალკეულ პერიოდებში იჯარით აღებული ჰქონდა: 2008 წლის 18-დან 27 სექტემბრამდე შპს "ნიუ ენერჯი"-სგან 2 ცალი მილჩამწყობი T-130 (ღირებულება 10170 ლარი), 2008 წლის 7- დან 13 აპრილამდე სს "თბილისი"-სგან ბულდოზერი CT-130 (ღირებულება 2000 ლარი) და 2008 წლის 6-დან 13 ივნისამდე ფიზიკური პირისგან ბულდოზერი DT-75 (ღირებულება 1200 ლარი).

<u>ქონების თხოვების ფორმით მიღება.</u> 2009 წლის 29 იანვარს "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალსა" და კომპანიას შორის დაიდო თხოვების ხელშეკრულება რომლის საფუძველზეც კომპანიამ 5 წლის ვადით უსასყიდლოდ მიიღო ა/მ კამაზ 4326 და 2 ერთეული ყველგანმავალი Hegland BV206W. 2009 წლის 2 აპრილს N 1 შეთანხმებით ერთი ერთეული ყველგანმავალი კომპანიის მიერ უკან იქნა დაბრუნებული.

<u>ძირითადი საშუალებების შეძენა.</u> აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში კომპანიის მიერ სულ შეძენილია 4903,1 ათ. ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, მათ შორის: მსუბუქი ავტომობილები - 818,5 ათ. ლარის (აქედან: 7 ერთეული "ნივა" - 99,6 ათ.ლარი, 6 ერთეული "ტოიოტა ლენდკრუიზერი პრადო" - 442,3 ათ. ლარი, 3 ერთეული "ტოიოტა ჰაილუქსი" - 128,7 ათ. ლარი და სხვა), სპეცტექნიკა - 2192,4 ათ. ლარის (აქედან: ავტოამწე - 313,2 ათ. ლარი, ავტომატარებელი მილმზიდი - 200,1 ათ. ლარი, 3 ერთეული ექსკავატორი - 708,7 ათ. ლარი, ბულდოზერი - 554,6 ათ. ლარი, სატვირთო ავტომობილი "ფორდ კარგო" – 196,7 ათ. ლარი და სხვა), სხვადასხვა ხელსაწყოები სპეციალური მოწყობილობები - 1482,2 ათ. ლარის (აქედან გაზის წნევის საზომები და რეგულატორები - 149,6 ათ. ლარი, სხვადასხვა სახის მრიცხველები - 135,4 ათ. ლარი, ბურთულოვანი ონკანები - 180,9 ათ. ლარი, კორექტორები - 201,6 ათ. ლარი, შესადუღებელი აპარატები - 140,0 ათ. ლარი, ფილტრები - 100,4 ათ. ლარი) და სხვა.

<u>ქონების უსასყიდლოდ გადაცემა.</u> აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში კომპანიის მიერ უსასყიდლოდ გადაცემულია 227,2 ათ. ლარის ნარჩენი ღირებულების ძირითადი საშუალებები, კერძოდ: ავტომანქანები "ტოიოტა ლენდკრუიზერი პრადო" სახ. №LPL – 468 (ნარჩენი ღირებულებით 69,4 ათ. ლარი) და "ფორდ რეინჯერი" სახ. №SPD-859 (ნარჩენი ღირებულებით 17,5 ათ. ლარი) შესაბამისად 2008 წლის 2 ივნისს და 2009 წლის 9 თებერვალს ჩუქების ფორმით გადაეცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ავტომანქანა "ტოიოტა ლენდკრუიზერი პრადო" სახ.№ZMD-777 (ნარჩენი ღირებულებით 78,0 ათ. ლარი) 2008 წლის 24 მარტს თხოვების ფორმით გადაეცა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს (დაბრუნებული იქნა 2008 წლის 25 ივნისს), ავტომანქანა "ტოიოტა ლენდკრუიზერი პრადო" სახ.№SXS-200 (ნარჩენი ღირებულებით 62,4 ათ. ლარი) 2008 წლის 7 აგვისტოს თხოვების ფორმით გადაეცა კორპორაციას (დაბრუნებული იქნა 2008 წლის 19 აგვისტოს).

<u>ძირითადი საშუალებების რეალიზაცია.</u> აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში კომპანიის მიერ რეალიზებულია 12,3 ათ. ლარის ნარჩენი ღირებულების ძირითადი საშუალებები, კერძოდ: გაზის ტურბინული მრიცხველი, ელექტროკორექტორი და ფლოუბოსი. რეალიზაციის შედეგად მიღებულია 15,6 ათ. ლარი.

<u>ძირითადი საშუალებების ჩამოწერა.</u> აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში ჩამოწერილია 94,6 ათ. ლარის ნარჩენი ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებები, მათ შორის: 2007 წელს ავტომანქანა "ვაზ 21214" ნარჩენი ღირებულებით 14,2 ათ. ლარი (დაიწვა მოკლე ჩართვის შედეგად). 2008 წელს ავტო ავარიის შედეგად დაზიანებული ავტომანქანა "ტოიოტა ლენდკრუიზერი პრადო" (ნარჩენი ღირებულებით 78,0 ათ. ლარი) სადაზღვევო შემთხვევის აქტის თანახმად საკუთრების უფლებით გადაეცა მზღვეველს („ალდაგი ბი სი აი"), რომელმაც დამდგარი ზარალი კომპანიას აუნაზღაურა ახალი, იგივე მარკის ავტომობილით.

<u>ინვენტარიზაცია.</u> კომპანიის გენერალური დირექტორის 2008 წლის 17 ნოემბრის N204 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა საინვენტარიზაციო კომისიამ, კომპანიის შესაბამისი დეპარტამენტებისა და ფილიალების პასუხისმგებელი მუშაკების მონაწილეობით, ჩაატარა კომპანიის სათაო ოფისში და სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალებში კომპანიის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის შედეგად გამოირკვა, რომ 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის ბუღატრულ ბალანსზე ირიცხებოდა 2234 ერთეული ძირითადი საშუალება, ინვენტარი, დამხმარე მოწყობილობა და სხვა მატერიალური ფასეულობა. ჩატარებული აღწერის შედეგად ადგილზე აღმოჩნდა 2176 ერთეული. გატარებული ღონისძიებების შედეგად სულ მოძიებული იქნა 35 ერთეული, ხოლო დანაკლისად მიჩნეულ იქნა 1300 ლარის ნარჩენი ღირებულების 23 ერთეული ძირითადი საშუალება. დანაკლისად აღიარებულ ძირითად საშუალებებზე მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს დაევალათ ზარალის ანაზღაურება, რაც 2010 წლის განმავლობაში ანაზღაურდა კომპანიის სასარგებლოდ.

<u>მარაგები</u>

კომპანიაში 2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სასაქონლო - მატერიალური მარაგების ანგარიშზე ნაშთად ირიცხებოდა 1932,1 ათ. ლარის ფასეულობა. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში სადებეტო ბრუნვაში აისახა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების 281802,5 ათ. ლარით ზრდა. ამავე პერიოდში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საკრედიტო ბრუნვამ შეადგინა 279370,4 ათ. ლარი. 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაფიქსირდა 4364,2 ათ. ლარის ღირებულების სასაქონლო-მატერიალური მარაგის ნაშთი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მატერიალური მარაგების შემოსვლა და გასვლა 2007, 2008 და 2009 წლებისათვის ათ. ლარში:

მარაგების დასახელება	**ნაშთი 2007 წლის 1 იანვრის**	**2007 წლის განმავლობაში დამატებული**	**2007 წლის განმავლობაში გამოკლებული**	**ნაშთი 2007 წლის 31 დეკემბრის**
საქონელი	1,522.4	91,596.5	88,614.5	4,504.4
ნედლეული	12.0	2.2	12.0	2.2
საწვავი და საპოხი მასალები	36.6	781.5	779.7	38.4
სათადარიგო ნაწილები	12.4	197.7	195.0	15.1
მასალები	348.8	4,858.6	4,463.1	744.2
სხვა მარაგები	-	60.8	60.8	-
სულ	**1,932.1**	**97,497.2**	**94,125.1**	**5,304.2**

მარაგების დასახელება	**ნაშთი 2008 წლის 1 იანვრის**	**2008 წლის განმავლობაში დამატებული**	**2008 წლის განმავლობაში გამოკლებული**	**ნაშთი 2008 წლის 31 დეკემბრის**
საქონელი	4,504.4	103,930.4	106,879.2	1,555.7
ნედლეული	2.2	-	-	2.2
საწვავი და საპოხი მასალები	38.4	1,186.5	1,093.2	131.7
სათადარიგო ნაწილები	15.1	321.3	297.4	39.0
მასალები	744.2	4,312.5	3,498.9	1,557.8
სხვა მარაგები	-	123.8	123.8	-
სულ	**5,304.2**	**109,874.6**	**111,892.5**	**3,286.3**

მარაგების დასახელება	ნაშთი 2009 წლის 1 იანვრის	2009 წლის განმავლობაში დამატებული	2009 წლის განმავლობაში გამოკლებული	ნაშთი 2009 წლის 31 დეკემბრის
საქონელი	1,555.7	69,619.4	69,473.0	1,702.1
ნედლეული	2.2	-	-	2.2
საწვავი და საპოხი მასალები	131.7	765.6	800.8	96.4
სათადარიგო ნაწილები	39.0	171.5	179.1	31.3
მასალები	1,557.8	3,817.5	2,843.0	2,532.3
სხვა მარაგები	-	56.7	56.7	-
სულ	**3,286.3**	**74,430.7**	**73,352.8**	**4,364.2**

"საქონელის" საბალანსო მუხლი მოიცავს ბუნებრივ გაზს, დატოვებულს გაზის ტრანზიტის საფასურად; "ნედლეული" - 2007 წელს სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან მორჩენილ მილის ნაჭრების ღირებულებას;

„მასალების" საბალანსო მუხლი მოიცავს როგორც მცირეფასიან მარაგებს, როგორიცაა საიზოლაციო ლენტები და სახრახნისები, ასევე ძვირადღირებულ ონკანებს, მუხლებსა და სხვა.

"საწვავი და საპოხი მასალების" ჩამოწერა ხდება გავლილი კილომეტრებიდან და ნამუშევარი საათებიდან გამომდინარე, თითოეულ ავტომობილსა თუ მძიმე ტექნიკაზე დადგენილი ნორმების მიხედვით. გარბენილ კილომეტრებზე საწვავის ჩამოწერა ყველა შემთხვევაში ხდება ქალაქში მოძრაობისას დადგენილი წვის ნორმებით. კომპანია საბჭოთა წარმოების მანქანებზე იყენებს რსფსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინიტროს მიერ დამტკიცებულ საწვავის ხარჯვის ნორმებს (1989 წელი ქ. მოსკოვი), ხოლო უცხოური წარმოშობის მანქანებზე ხელძღვანელობს ოფიციალური დილერებისგან მოწოდებული წერილებით, სადაც დაფიქსირებულია ავტომობილის საწვავის ხარჯი 100 კილომეტრზე. კომპანიაში მას ამატებენ 1989 წლის საბჭოთა ნორმებითა და მეთოდოლოგიით გაანგარიშებულ საწვავის წვის დანამატებს მთიან რელიეფზე, ზამთრის პირობებში და მილიონიან ქალაქში მოძრაობისას.]

კომპანიის საქმიანობისათვის საჭირო საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვას ახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური. კომპანიის გენერალური დირექტორის 2008 წლის 25 ნოემბრის N208 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს სხვა ფუნქციების შესრულებასთან ერთად ევალება დადგენილი წესის შესაბამისად შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის მომზადება და საქონლისა და სამუშაოების პოტენციურ მომწოდებელთა ბაზის შედგენა, რაც აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში განხორციელებული არ არის.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის
უფროსის მოადგილის მ/შ — გიორგი კეკელიშვილი

აუდიტორი — ანა ალავერდაშვილი